ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1924 წლის მაისის 28.	№ 3. განყოფილება პირველი	გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შ ი ნ ა ა ა რ ს ი:

მუხ. 41. საშემოსავლო გადასახადის გასტუმრების ვადის განგრძობის შესახებ 1924 წლ. მარტის 10-მდე.

„ 42. უნიშანწყლო ქაღალდზე დაბეჭდილი 75 მილიონიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნის ხმარების შესახებ.

„ 43. 1923 წ. მოსავლის საექსპორტო სიმინდის მტკიცე დასამზადებელი ფასის გადიდების შესახებ.

„ 44. რაფინად-შაქარზე სააქციზო განაკვეთის დაკლების შესახებ.

„ 45. მატყლნარევი ჯუთისა და ვიგონის ნართის სააქციზო განაკვეთის რაოდენობის შესახებ.

„ 46. საფილატელო მასალის გადაცემის შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთათვის.

„ 47. მუშა-მოსამსახურეთათვის და სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის კრედიტის მიცემის ოპერაციების დოკუმენტების საღერბო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

„ 48. ასმილიონიანი და ორას ორმოცდაათი მილიონიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნების სახმარებლად შემოღების შესახებ.

„ 49. ინსტრუქციის გამოცემის შესახებ, რათა უკლებლივ იქნეს შესრულებული სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოცემული დადგენილება იმ შეღავათის თაობაზე, რაც ეძლევათ ქალებს, რომელთაც დანაშაული ჩაუდენიათ 1924 წ. მარტის 8-მდე.

„ 50. გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინების დებულების მე-6 მუხ. შეცვლის შესახებ.

„ 51. დაწესებულებათა, საწარმოთა და კერძო პირთა მოვალეობის შესახებ საგადასახადო განყოფილებათათვის ნარდად მუშაობისა და ყიდვა-მიწოდების თაობაზე ცნობის შეტყობინების გამო.

„ 52. სახელმწიფო დაწესებულებებში და საწარმოებში სამსახურის შესახებ გამოცემული დადგენილების შეცვლისათვის.

„ 53. სოციალისტური დაზღვევის განაკვეთის ტარიფის რაოდენობის შეცვლის შესახებ იმ დაწესებულებათათვის, რომელნიც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფებიან.

„ 54. სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა, საწარმოთა და მეურნეობათა განთავისუფლების შესახებ მუშა-მოსამსახურეთათვის დახმარების მიცემისაგან პირველი სამი დღის განმავლობაში დროებით შრომის უნარის დაკარგვის გამო.

„ 55. მუშა-მოსამსახურეთა განთავისუფლების შესახებ სახელმწიფო 6 პროც. მომგებიანი სესხის ობლიგაციების შეძენისაგან სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის გასტუმრების დროს.

„ 56. საწარმოთა მიერ ფქვილისა და სხვ. მასიური მოხმარების საგანთა პრეისკურანტებისა და ფასების გამოფენის შესახებ.

„ 57. ადგილობრივი გამოსაღების დაწესების შესახებ ოთხფეხი საქონლისა და სხვ. ცხოველის უმი პროდუქტის ვეტერინარულ—სანიტარული დათვალიერებისათვის.

„ 58. საქონლის მანეთზე ვალდებულებით გადასახდელის გამოანგარიშებისა და იმავე გამოანგარიშებით ტარიფისა და ნიხრის დაწესების მოსპობის შესახებ.

„ 59. სამუშაოს ხელფასის ოქროს ვალიუტაზე გადატანის შესახებ.

„ 60. კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ხელფასისათვის მტკიცე ვალიუტით პარიტეტის დაწესების შესახებ.

„ 61. ცხოვრების გაძვირების გამო დაწესებული ზედნართის ანგარიშში მარტის თვისათვის ავანსის გაცემის შესახებ.

„ 62. პასუხისმგებელ პოლიტიკურ, პროფესიონალურ, საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიულ ჰომუშავეთა გასამრჯელოს შესახებ.

„ 63. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში საბიუჯეტო ინდექსის ღირებულობის განსაზღვრის შესახებ.

„ 64. ადგილობრივი ორგანოების მიერ ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებამდე საშუალებათა დახარჯვის წესის შესახებ.

„ 65. ამიერკავკასიის სახელმწიფო ფონდების აღნუსხვისა და რეალიზაციის კომისიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

„ 66. დებულება ამიერკავკასიის სახელმწიფო ფონდების აღნუსხვისა და რეალიზაციის კომისიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების შესახებ.

„ 67. სავაჭრო ადგილზე წარწერის უქონლობისათვის დადებული ჯარიმის ჩერვონეცზე გამოანგარიშების შესახებ.

„ 68. ერთ მილიარდიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნის სახმარებლად გამოშვების შესახებ.

დადგენილება № 69 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის თებერვლის 29.

41. საშემოსავლო გადასახადის გასტუმრების ვადის განგრძობის შესახებ 1924 წლის მარტის 10-მდე.

სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების მე-10 მუხლის საფუძველზე ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის გასტუმრების ვადა 1923—24 წ. პირველი საშენაწერო ნახევარწლისათვის განგრძობილ იქნეს 1924 წლის მარტის 10-მდე.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
ფინანსთა სახალხო კომისარი **ჰუსეინოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1924 წ. მარტის 1-ს თარიღის 516 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის თებერვლის 29.

42. უნიშანწყლო ქაღალდზე დაბეჭდილი 75 მილიონიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნის ხმარების შესახებ.

რადგანაც 75 მილიონიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშანი იბეჭდება, სხვათა შორის, უნიშანწყლო ქაღალდზედაც, ვაცხადებთ, მოსალოდნელ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად, რომ ამიერკავკასიის ფულის ნიშნის აღნიშნულ კუპიურას აქვს კანონიერი მსვლელობა თანასწორად ნიშანწყლიან ქაღალდზე დაბეჭდილი კუპიურებისა და სავალდებულოა მისაღებად ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებისათვის და აგრეთვე კერძო საწარმოსა და პირისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის
ფინანსთა სახალხო კომისარი **ჰუსეინოვი.**

სავალიუტო სამმართველოს უფროსი **საფარიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის მარტის 1-ს თარიღის 516 №-ში.

დადგენილება № 8 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წლის თებერვლის 28.

43. 1923 წლის მოსავლის საექსპორტო სიმინდის მტკიცე დასამზადებელი ფასის გადიდების შესახებ

სიმინდის საზღვარგარეთ გატანის შესახებ მე-4 №-ით გამოცემული დადგენილების (ამიერკავ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ. № 13, მუხ. 265) მე-3 პუნქტის შესაცვლელად—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

სიმინდის მტკიცე ნასყიდობის ფასი დაწესებულ იქნეს 70 ჩერვ. კაპ. ფუთზე—დასავლეთ საქართველოსათვის, 60 კაპ.—გორის მაზრისათვის და 57 კ.—კახეთისათვის ფრანკო ერთიანი მომხმარებელი საზოგადოების საწყობი რკინის-

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზის სადგურზე. სოფლად ჩაბარებული სიმინდის ფასი შემცირებულ უნდა იქნეს იმ რაოდენობით, რაც დაჯდება ამ სიმინდის გადაზიდვა რკინისგზის სადგურთან არსებულ ერთიანი მომხმარებელი საზოგადოების საწყობამდე.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის მარტის 2-ს თარიღის 517 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. მარტის 3.

44. რაფინად-შაქარზე სააქციზო განაკვეთის შემცირების შესახებ.

+72

მტკიცე სააქციზო განაკვეთის საჩერვონეცო ანგარიშით გამოყვანის შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. ნოემბრის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ. მე-13 №-ი, მუხ. 248) მე-4 კარის ლიტერა ა მე-6 მუხლის შესაცვლელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ზემოაღნიშნული დადგენილების მე-4 კარის ლიტერი ა მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: ჭარხლის კრისტალისებური შაქრის ფხვნილი და რაფინად-შაქარი—ოთხი მანეთის რაოდენობით ფუთზე ან ოცდაოთხი (24) კაპ. კილოგრამზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **აღამალი-ოღლი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. მარტის 5-ს თარიღის 519 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. მარტის 3.

45. მატყლნარევი ჯუთისა და ვიგონის ნართის სააქციზო განაკვეთის რაოდენობის შესახებ.

საფეიქრო მრეწველობის ნაწარმოებთათვის მტკიცე სააქციზო განაკვეთის შემოღების შესახებ—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემული დადგენილების (ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ. მე-11 №-ი, მუხლი 208) 1-ლი დანართის მე-5 მუხ. და იმავე დანართის 1-ლი შენიშვნის შესაცვლელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ზემოაღნიშნული დანართის მე-5 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: 5. ჯუთის ნართი: ა., საბაგირო—4,4 კაპ. გირვანქაზე ან 10,7 კაპ. კილოგრამზე. ბ., სატომრე—1,8 კაპ. გირვანქაზე ან 4,5 კაპ. კილოგრამზე.

2. ზემოაღნიშნული დანართის პირველი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

1-ლი: ვიგონის ნართი, რომელსაც ურევია მატყლი არა უმეტეს 15 პროცენტისა, დაიბეგვრება აქციზის იმ განაკვეთით, რაც დადგენილია ვიგონის ნართისათვის; ხოლო მატყლნარევი 15 პროც. უმეტეს—დაიბეგვრება მატყლის სააპარატო ნართისათვის დაწესებული განაკვეთით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ალამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. მარტის 5-ს თარიღის 519 №-ში.

დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1924 წ. მარტის 3.

46. საფილატელო მასალის გადაცემის შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებისათვის.

რათა გაძლიერებულ იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატების სახსარი, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გადაეცეს რესპუბლიკანური სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებს—კუთვნილებისამებრ—რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოებში ქონებული ყველა მარაგი საფილატელო მასალისა, სამუზეუმო ფონდის გარდა, და მიეცეს მათ განსაკუთრებული უფლება ამა მასალის რეალიზაციისათვის.

2. საფილატელო მასალის რეალიზაციით შემოსული ყოველი თანხა შეტანილ უნდა იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში და ჩაირიცხოს სათანადო რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დეპოზიტში.

3. მიენდოს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გამოსცეს ინსტრუქცია ამა დეკრეტის აღსრულებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **აღამალი ოღლი.**
ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. მარტის 5-ს თარიღის 519 №-ში.

დადგენილება № 47 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიისა.

1924 წლის თებერვლის 9.

47. მუშა-მოსამსახურეთა და სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის კრედიტის მიცემის ოპერაციების დოკუმენტების საღერბო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

სახელმწიფო საღერბო გამოსაღების წესდების 1-ლი მუხლის საფუძველზე ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგია ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთავისუფლებულ იქნეს საღერბო გამოსაღებისაგან ის დოკუმენტები (ანგარიში, ფაქტურა, სავალო ვალდებულება), რაც დაკავშირებულია მუშა-მოსამსახურეთა და სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის კრედიტის მიცემის ოპერაციებთან.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის მაგიერ **ერქომაიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. მარტის 5-ს თარიღის 591 №-ში.

დადგენილება № 14 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. მარტის 1.

48. ასმილიონიანი და ორას ორმოცდაათი მილიონიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნების სახმარებლად გამოშვების შესახებ.

რადგანაც სავაჭრო-სამრეწველო აღებმიცემობა საჭიროებს დიდი კუპიურის ფულის ნიშნებს — გამოშვებულ იქნეს სახმარებლად ამიერკავკასიის ფულის ნიშნები ასი და ორას ორმოცდაათი მილიონიანი ღირსებისა იმ საფუძველზე, რაც დაწესებულია ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს 1923 წ. იანვრის 10-ს დადგენილებით—ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნის სახმარებლად გამოშვების შესახებ.

ამიერკავკასიის ფულის ნიშნების ზემოაღნიშნული კუპიურები გამოშვებულ იქნეს ახალი, 1924 წლის, სახისა ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის ხელისმოწერით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. მარტის 6-ს თარიღის 520 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1924 წ. მარტის 3.

49. ინსტრუქციის გამოცემის შესახებ, რათა უკლებლივ იქნეს შესრულებული სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოცემული დადგენილება იმ შეღავათის თაობაზე, რაც ეძლევათ ქალებს, რომელთაც დანაშაული ჩაუდენიათ 1924 წლის მარტის 8-მდე.

რათა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე რაც შეიძლება სრულად იქნეს განხორციელებული ის შეღავათი, რაც სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. თებერვლის 22-ს გამოცემული დადგენილებით ეძლევათ იმ ქალთ, რომელთაც დანაშაული ჩაუდენიათ 1924 წ. მარტის 8-დე,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მიენდოს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი თვითეული რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დაავალოს რესპუბლიკის სათანადო ორგანოებს, სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილების უკლებლივ შესასრულებლად გამოსცენ საჭირო ინსტრუქციები და თვალყური ადევნონ ამა ინსტრუქციების წესიერად განხორციელებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **აღამალი-ოღლი.**

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1924 წლის მარტის 6-ს თარიღის 520 №-ში.

დადგენილება სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

დარწმუნდა რა გასული წლის გამოცდილების მიხედვით, რომ მუშა-ქალნი და გლეხი-ქალნი, რომელთაც შემთხვევით თუ გაჭირვების გამო ჩაიდინეს დანაშაული და ამნისტიის ძალით განთავისუფლებულ იქნენ პატიმრობისაგან, დაუბრუნდნენ პატიოსან შრომითი ცხოვრებას, სოციალისტური საბჭოთა რესპუბლი-

კების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს მიმდინარე წელსაც, ქალთა ინტერნაციონალური დღის დღესასწაულისათვის—მარტის 8-სათვის:

1. პირობით განთავისუფლებულ იქნენ პატიმრობისაგან ის გლეხი-ქალები და მუშა-ქალები, რომელთაც ქალთა დღესასწაულის დღისათვის მოიხადეს ნახევარი სასჯელი ან მეტი და არ იწვევენ შიშს, რომ კვლავ შეუძლიანთ ჩაიდინონ ახალი დანაშაული.

2. უფლება მიეცეთ განმანაწილებელ კომისიებს აღძრან შუადგომლობა დაპატიმრებულ ქალთა პირობით და ვადამდე განთავისუფლების შესახებ, ხოლო სათანადო დაწესებულებათ უფლება აქვთ დააკმაყოფილონ ეს შუამდგომლობა იმ შემთხვევაშიაც, როცა დაპატიმრებულ ქალთ მარტის 8-სათვის მოხდილი არ ექნებათ ნახევარი სასჯელი.

3. დაევალოს სასამართლო და ადმინისტრატიულ ორგანოებს ყოველი დადგენილების მიღების დროს იმ ქალთა სასჯელის შესახებ, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს 1924 წ. მარტის 8-დე, განიხილონ საკითხი ამა აქტის მათდამი შეფარდების შესახებ.

4. მიენდოს მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმებს დაავალონ რესპუბლიკის სათანადო ორგანოებს, რათა მათ, ამა დადგენილების აღსასრულებლად, შეიმუშაონ დაწვრილებითი ინსტრუქცია და თვალყური ადევნონ მის წესიერ და უკლებლივ განხორციელებას.

5. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოთ ტელეგრაფით.

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **ნ. ნარიმანოვი.**

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. ენუქიძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის მარტის 6-ს თარიღის 520 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრ. აღმ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. მარტის 3.

50. გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინების დებულების მე-6 მუხ. შეცვლის შესახებ.

გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინების მე-6 მუხ. (ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ. მე-7 №-ის 81 მუხ.) შესაცვლელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინების დებულების მე-6 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 6. გადახდის უკიდურესი ვადის გასვლისას, შეწერილი გადასახადი ან გამოსაღები, რაც შეტანილ არ იქნება იმ ორგანოებში, რომელთაც მინდობილი აქვთ გადასახდელის მიღება,—გადაირიცხება ნარჩენად; ეს ნარჩენი შეიძლება შეტანილ იქნეს, საურავის მიურიცხავად, პირველი ორი დღის განმავლობაში ვადის გასვლისას; ამ ორი საშეღავათო დღის გასვლის შემდეგ კი ნარჩენი გადახდევინებულ იუნდა იქნეს საურავის მირიცხვით, დაწყებული იმ დღიდან, როდესაც გადასახდელი ნარჩენი გადაირიცხა: პირველი თვის განმავლობაში ერთ მეოთხედ პროცენტის რაოდენობით, ხოლო შემდეგი დროის განმავლობაში—$^1/_2$ პროცენტის რაოდენობით თვითეული გადაცილებული დღისათვის.

ნარჩენი თანხა და საურავი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ჩერვონეცზე და გადახდევინებულ ჩერვონეცით ან ამიერკავკასიის ფულის ნიშნით ჩერვონეცის იმ კურსის მიხედვით, რაც გამოცხადებულ იქნება ადგილობრივ გადახდის დღისთვის.

2. ამა დადგენილებით დამყარებული წესი საურავის მირიცხვისა გავრცელდება აგრედვე იმ წინანდელ ნარჩენზედაც, რაც გადაუხდელი იქნება ამა დადგენილების ძალაში შესვლის დღისათვის“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **აღამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1924 წლის მარტის 7-ს თარიღის 521 №-ში.

დადგენილება № 9 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის თებერვლის 28.

51. დაწესებულებათა, საწარმოთა და კერძო პირთა მოვალეობის შესახებ საგადასახადო განყოფილებათათვის ნარდად მუშაობისა და ყიდვა-მიწოდების თაობაზე ცნობების შეტყობინებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა სახელმწიფო, კომუნალური დაწესებულება და საწარმო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია (მათ შორის კოოპერატივი), პროფესიონალური კავშირი, სახლის კომიტეტი და ამხანაგობა, ყველა კერძო საწარმო და პირი მოვალეა ორი კვირის ვადაზე დღიდან მის მიერ ხელშეკრულების დადებისა ნარდად მუშა-

ობისა და ყიდვა-მიწოდების შესახებ,—შეატყობინოს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებთან არსებულ საგადასახადო განყოფილებათ შემდეგი ცნობები: ა., ნარდად მომუშავისა ან გამყიდველ-მიმწოდებელის სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი; ბ., ნარდად მუშაობისა ან ყიდვა-მიწოდების საგანი და ვადა; გ., ნარდად მუშაობისა ან ყიდვა-მიწოდების თანხა; დ., ანგარიშის გასწორების წესი და საშუალება; ე., ადგილი, სადაც ნარდად მუშაობა ან ყიდვა-მიწოდება უნდა იქნეს შესრულებული, ვ., ხელშეკრულების დადების დრო.

2. დამნაშავე, რომელიც 1-ლ მუხ. აღნიშნულ მოთხოვნათ არ შეასრულებს, გადაიხდის სარეწავი გადასახადის მთელ იმ თანხას, რაც მისი დანაშაულობის გამო არ შევიდა ხაზინაში ნარდად მუშაობისა ან ყიდვა-მიწოდებისათვის; ეს გადახდევინება მოხდება ფინანსთა ინსპექტორისა და საფინანსო განყოფილებათა მეშვეობით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დროებ. აღმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის მარტის 7-ს თარიღის 521 №-ში.

დადგენილება № 10 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. თებერვლის 28.

52. „სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში სამსახურის" შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. ოქტომბრის 27 თარიღითა და 94 №-ით გამოცემული დადგენილების შეცვლისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში სამსახურის შესახებ 1924 წ. ოქტომბრის 27 თარიღითა და 94 №-რით გამოცემული (ამიერკავ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარ. კრებ. 1923 წ. მე-11 №-რი, მუხ. 204) დადგენილების გამონაკლისად, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლით დაწესებული შეზღუდვა იმ პირთა მიმართ, რომელთაც უჭირავთ შემდეგი თანამდებობანი:

ა., ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში (ცენტრალურ სამმართველოს მსახურთა გარდა);

ბ., პედაგოგისა, ლექტორისა, მასწავლებლისა და ბიბლიოთეკარისა სამეცნიერო, სასწავლო და საალმზრდელო ხასიათის დაწესებულებაში და სასწავლებელში;

გ., არტისტისა და მემუსიკისა სახელმწიფო თეატრებსა და სტუდიებში;

დ., ექიმისა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამკურნალო და სასანიტარო დაწესებულებაში;

ე., აგრონომისა, მიწისმზომელისა, ენტიმოლოგისა, სელექციონერისა, მელიორატორისა და სამასწავლებლო პერსონალისა საცდელ-საჩვენებელ სადგურში, საბჭოთა მეურნეობაში და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სხვ. ამგვარ დაწესებულებაში.

2. ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 94 №-რის დადგენილების მე-2 მუხ. გამონაკლისი შეიძლება, განსაზღვრულ შემთხვევაში, იმ პროფესიათა და თანამდებობათა შესახებ, რაც ამა დადგენილების I-ლ მუხ. აღნიშნული არ არის,—ხოლო იმ პირობით, რომ ასეთი გამონაკლისი მოხდეს მარტოოდენ დაწესებულების ხელმძღვანელის შუამდგომლობით ამიერკავკასიის სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე, რომელიც თავის გადაწყვეტილებას შეუთანხმებს ამა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატსა და პროკურორს.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დრ. აღმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის მარტის 7-ს თარიღის 521 №-ში.

დადგენილება № 11 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. თებერვლის 28.

53. სოციალური დაზღვევის განაკვეთის ტარიფის რაოდენობის შეცვლის შესახებ იმ დაწესებულებათათვის, რომელნიც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფებიან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სოციალური დაზღვევის სატარიფო განაკვეთის რაოდენობის შესახებ 1923 წ. მაისის 11-ს თარიღითა და 48 №-რით გამოცემული (ამიერკავ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგ. კრებ. 1923 წ. მე-8 №-რი, მუხ. 106) დადგენილე-

ბის მე-2 მუხ. „ა“ პუნქ. და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებზე და საწარმოებზე სოციალური დაზღვევის საშელავათო ტარიფის გავრცელების შესახებ—1924 წ. იანვრის 9-ს თარიღითა და 3/119 №-რით გამოცემული („ზარია ვოსტოკა“-ს 1924 წ. იანვრის 31 თარიღის 491 №-რი) დადგენილების შესაცვლელად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათათვის დაწესდეს დროებითი შეღავათიანი ტარიფი სოციალური დაზღვევის განაკვეთისა 10%-ს რაოდენობით ყოველგვარ სამუშაო ხელფასზე, სხვათა შორის: ა., დროებითი შრომის უუნარიანობისათვის—$4^1/_2$%; ბ., ინვალიდობისათვის—2%, გ., უმუშევრობისათვის—$^1/_2$% და დ., სამკურნალო დახმარებისათვის—3%.

დადგენილება ესე ძალაში შედის 1924 წ. მარტის 1-დან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დრ. აღმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1924 წლის მარტის 7-ს თარიღის 521 №-ში.

დადგენილება № 12 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. თებერვლის 28.

54. სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა, საწარმოთა და მეურნეობათა განთავისუფლების შესახებ მუშა-მოსამსახურეთათვის დახმარების მიცემისაგან პირველი სამი დღის განმავლობაში დროებით შრომის უნარის დაკარგვის გამო.

„დროებითი შრომის უნარდაკარგულობისათვის მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველყოფის (უნარდაკარგულობის პირველი სამი დღის განმავლობაში) შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წ. დეკემბრის 30-ს თარიღით გამოცემული (ამიერკავკ. სოც. ფედ. საბჭ. კავშირის კანონთა და განკარგ. კრებ. მე-7 № რი, მუხ. 94) დეკრეტის გასაუქმებლად—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნეს, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო დაწესებულება, საწარმო და მეურნეობა მუშა-მოსამსახურეთათვის დახმარების მიცემი-

საგან დროებით შრომის უნარდაკარგულობის პირველი სამი დღის განმავლობაში.

2. დახმარების მიცემა მუშა-მოსამსახურეთათვის დროებით შრომის უნარდაკარგულობის გამო—პირველ დღიდანვე—დაეკისროს სოციალური დაზღვევის ორგანოებს.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის ამა წლის მარტის 1-დან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ.
დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის მარტის 7-ს თარიღის 521 №-ში.

დადგენილება № 14 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. მარტის 1.

55. მუშა-მოსამსახურეთა განთავისუფლების შესახებ სახელმწიფო 6 პროც. მომგებიანი სესხის ობლიგაციების შეძენისაგან სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის გასტუმრების დროს.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის ნოემბრის 1-ს თარიღითა და 102 №-ით გამოცემული დადგენილების (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობისა 1923 წლის № 12, მუხლი 236) მე-3 მუხლს დაერთოს შემდეგი შენიშვნა:

შენიშვნა. მუშა-მოსამსახურე, რომელსაც არა აქვს შემოსავლის სხვა წყარო, გარდა პირადი შრომის საშოვრისა, განთავისუფლდება სახელმწიფო 6 პროც. მომგებიანი სესხის ობლიგაციების შეძენისაგან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახ. კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის
სახ. კომ. საბჭ. მდივნის თანამდ. დროებ. აღმსრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის მარტის 8-ს თარაღის 522 №-ში.

დადგენილება № 9 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

+ 89

56. საწარმოთა მიერ ფქვილისა და სხვ. მასიური მოხმარების საგანთა პრეისკურანტებისა და ფასების გამოფენის შესახებ.

ფართე მოხმარების საგანთა ფასის შემცირების თაობაზე შინაგ. ვაჭრობის კომისიის დადგენილების განხორციელებისათვის საკონტროლო ღონისძიებათა შესახებ მე-6 № რით გამოცემული დადგენილების („ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის იანვრის 15-ს თარიღის 477 №-რი) დასამატებლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სავაჭრო საწარმოს (სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო), რომელიც ცალობრივ ვაჭრობას ეწევა, გამოჰფინოს ხოლმე მუშტრისთვის სანახავად თავის სავაჭრო სადგომში, თვალსაჩინო ადგილას, იმ გასაყიდ საქონლის ფასების პრეისკურანტი (საჩერვონეცო მანეთობითა და კაპიკობით), რაც შემდეგ ნუსხაშია აღნიშნული:

ფქვილი (ხორბლისა, ადგილობრივი და თეთრი, სიმინდისა) ყოველგვარი პური, სხვათა შორის მჭადი, ბრინჯი, მზესუმზირას ზეთი, ერბო, კარაქი, ყველი, რძე, კვერცხი, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, მარილი, საპონი, ასანთი, თევზეული (ლოქო, კობრი, კუტუმი, ტარანი), ხორცეული (ძროხისა, ცხვრისა, ღორისა), კარტოფილი, ლობიო, ჩითეული, ნარმა, კეროსინი.

შენიშვნა. ფასი თვით საქონელზედაც უნდა იყოს აღნიშნული.

2. რესპუბლიკათა შინა-ვაჭრობის კომისიებს ნება ეძლევათ შეავსონ აღნიშნული სია ადგილობრივი პირობების მიხედვით.

3. საერთო მეთვალყურეობა და კონტროლი ამა დადგენილების აღსრულებისათვის დაეკისროს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. და ცალკე რესპუბლიკების შინა-ვაჭრობის კომისიებს.

4. ამა დადგენილებისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. და ცალკე რესპუბლიკების შინა-ვაჭრობის კომისიების მიერ შინა-ვაჭრობისა და მტკიცე ფასების შესახებ გამოცემულ წესებისა და დადგენილებათა აღსრულებისათვის ადგილობრივ კონტროლის განსახორციელებლად—წინადადება მიეცეს ყველა აღმასრულებელ კომიტეტს დაუყოვნებლივ დააარსოს თავისთან განსაკუთრებული სამეთვალყურეო კომისია კომუნალური განყოფილების გამგის თავმჯდომარეობით, ხოლო წევრებად ამ კომისიაში იქნებიან პროფესიონალური კავშირის და კოოპერაციის წარმომადგენელნი.

შენიშვნა 1. სოფლად კომისია დაარსდება სოფლის აღმასრულებელ კომიტეტთან ამ კომიტეტის თავმჯდომარისა და ადგილობრივი კოოპერაციის მომუშავეთა შედგენილობით.

შენიშვნა 2. სამეთვალყურეო კომისიას ნება ეძლევა მიიხმოს მიმდინარე მუშაობისათვის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები, ადგილობრივი კომიტეტები, უჯრედები და დაბალი საფეხურის კოოპერაციის სადუქნო კომისიები.

5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით, როგორც შინა ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონ. საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონ. საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის მარტის 9-ს თარიღის 523 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის მატრის 10.

57. ადგილობრივი გამოსაღების დაწესების შესახებ ოთხფეხი საქონლისა და სხვადასხვა ცხოველის უმი პროდუქტის ვეტერინარულ-სანიტარული დათვალიერებისათვის.

საველტერინარო-სასანიტარო საქმის ადგილობრივ გასაუმჯობესებლად—**ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:**

1. ნება მიეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს დააწესონ ხოლმე გამოსაღები ოთხფეხი საქონლისა და სხვადასხვა ცხოველის უმი პროდუქტის დათვალიერებისთვის; ეს გამოსაღები გადახდავინებულ უნდა იქნეს იმ ადგილას, სადაც იყიდება ოთხფეხი საქონელი და სხვადასხვა ცხოველის უმი პროდუქტი (ბაზარი, საქულბაქო და სხვ.), და აგრეთვე ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე საქონლის გადარეკისა ან გადაზიდვის დროს სავაჭრო ან სამრეწველო მიზნით.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული გამოსაღები არ უნდა აღემატებოდეს დასათვალიერებელი ოთხფეხი საქონლისა და სხვადასხვა ცხოველის უმი პროდუქტის ნორმალური ფასის ერთმეოთხედ პროცენტს.

3. დაევალოს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გამოსცეს წესები და ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **აღამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. შავერდოვი.**

გავოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. მარტის 14-ს თარიღის 526 №-ში.

დადგენილება № 10 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რეს. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წლის მარტის 13.

+ 106

58. ვალდებულებით გადასახდელის საქონლის მანეთზე გამოანგარიშებისა და ამავე გამოანგარიშებით ტარიფისა და ნიხრის დაწესების მოსპობის შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში მტკიცე ვალიუტაზე გადასვლის საქმის მომზადებისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. აღკრძალულ იქნეს 1924 წლის მარტის 1-დან ხელშეკრულების დადება, ვალდებულების გაცემა და სხვ. ამისთ., აგრეთვე ტარიფისა და ნიხრის დაწესება საქონლის საშუალო ფასების გამომხატველ რიცხვზე (საქონლის მანეთი) გამოანგარიშებით.

2. ხელშეკრულება და ყოველგვარი ვალდებულება, რომელიც 1924 წ. მარტის 1-ს შემდეგ დადებულ იქნა საქონლის მანეთზე გამოანგარიშებით, ძალამოკლებულია.

3. ხელშეკრულება და ყოველგვარი სხვა ვალდებულება, 1924 წლის მარტის 1-დე დადებული საქონლის მანეთზე გამოანგარიშებით, შეფარდებულ უნდა იქნეს ოქროს ვალიუტისათვის არა უგვიანეს 1924 წლის მარტის 31-სა.

შენიშვნა. ოქროს ვალიუტისთვის შეფარდებულ უნდა იქნეს ყოველი ხელშეკრულება, გარდა კოლექტიური ხელშეკრულებისა—მტკიცე პარიტეტით: 1 საქონლის მანეთი უდრის 1 მან. და 30 კაპ. ოქროთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექტიური ხელშეკრულებისათვის ოქროს ვალიუტის შეფარდება დაწესდება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

4. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღ-
ლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ.
რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. მარტის 15-ს თარიღის 527 №-ში.

დადგენილება № 11 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წლ. მარტის 14.

59. სამუშაო ხელფასის ოქროს ვალიუტაზე გადატანის შესახებ.

რათა განხორციელებულ იქნეს საჭირო მომზადება მტკიცე ვალიუტაზე მომავალში გადასვლისათვის და რათა თავიდან აცდენილ იქნეს მუშა-მოსამსახურეთა მიერ საკურსო განსხვავების დაკარგვა სამუშაო ხელფასის საქონლის მანეთით გაცემის დროს—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. სამუშაო ხელფასის გაცემა 1924 წლის მარტის 1-დან მოხდება თანახმად ამა დადგენილების 2, 3 და 4 მუხლისა ისე, რომ კოლექტიური ხელშეკრულობით დაწესებული განაკვეთი ამიერკავკასიის ფულის ნიშნებზე არ გადაიტანება. სამუშაო ხელფასის გამოანგარიშების ამ ცვლილებამ არ უნდა შეამციროს კოლექტიური ხელშეკრულებით დაწესებული რეალური სამუშაო ხელფასი.

2. ყველა შემთხვევაში, როდესაც სამუშაო ხელფასი დადგენილია კოლექტიური ხელშეკრულებით, ეს სამუშაო ხელფასი გაცემულ უდნა იქნეს 1924 წლის მარტის 1-დან მტკიცე პარიტეტის მიხედვით, რაც ცალკე დაწესებულ იქნება ხოლმე სატარიფო ზოლებისათვის. 1924 წლის აპრილის 1-სათვის განსაზღვრულ უნდა იქნეს სახელმწიფო საგეგმო სამმართველოს საბიუჯეტო ინდექსის ადგილობრივი ღირებულება მტკიცე ვალიუტით, რის შემდეგაც მარტში მიცემულ თვითეულ მანეთზე გადახდილ უნდა იქნეს,—საპროცენტო ზედნართის სახით ცხოვრების გაძვირების გამო,—განსხვავება მიღებულ მტკიცე პარიტეტსა და საბიუჯეტო ინდექსის ადგილობრივ ღირებულებას შორის, რომელიც გამოანგარიშებული იქნება მტკიცე ვალიუტით.

შენიშვნა. აღნიშნული პარიტეტი და საზოლო განაწილება ცალკე უნდა იქნეს გამოქვეყნებული.

3. უკეთუ კოლექტიური ხელშეკრულებით სამუშაო ხელფასი დაწესებულია ჩერვონცებად, დაცულ უნდა იქნეს ის განაკვეთი, რაც მიცემულ უნდა ყოფილიყო მარტის თვისათვის, ხოლო უნდა დაემატოს 1924 წ. აპრილში ცხოვრების გაძვირების გამო დაწესებული განსაკუთრებული ზედნართი.

4. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს, შრომის სახალხო კომისარიატს და სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ამიერკავკასიის ბიუროს სამის დღის განმავლობაში განსაზღვროს სახალხო მეურნეობის ის დარგები, სადაც ფულის რეფორმის დამთავრებამდე სამუშაო ხელფასი, მარტიდან დაწყებული, ნაწილობრივ გადახდილ უნდა იქნეს ხოლმე მტკიცე ვალიუტით და ამასთანავე შეიმუშაონ გადახდის წესი და ნორმები.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის მარტის 15 თარიღის 527 №-ში.

დადგენილება № 12 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წ. მარტის 14.

60. კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ხელფასისათვის მტკიცე ვალიუტით პარიტეტის დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ 1924 წ. მარტის 14 თარიღით და 11 №-რით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხ. განსავითარებლად და სოც. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ სამუშაო ხელფასის ოქრის ვალიუტისათვის შეფარდების შესახებ ამა წლის მარტის 1-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მიხედვით—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორია მიეკუთვნოს სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ მარტის 1-ს თარიღით გამოცემული დადგენილებით დაწესებულ ზონებს: მე-2

საქართველოს პარლამენტის

ზოლს—ქ. ქ. ტფილისი, ბაქო, ერივანი, ბათომი და ჭიათურა; მე-3 ზოლს—მთლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის დანარჩენი ტერიტორია.

2. კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მანეთის მტკიცე ვალიუტისათვის შეფარდების დროს დაწესებულ იქნეს პირველად ანგარიშის გასწორებისათვის მარტში შემდეგი მტკიცე პარიტეტი:

მე-2 ზოლისათვის—1 საქონლის მანეთი უდრის 1 მან. და 30 კაპ. მტკიცე ვალიუტით;

მე-3 ზოლისათვის—1 საქონლის მანეთი უდრის 1 მანეთს მტკიცე ვალიუტით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. მარტის 15-ს თარიღის 627 №-ში.

დადგენილება № 13 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წლის მარტის 14.

61. ცხოვრების გაძვირების გამო დაწესებული ზედნართის ანგარიშში მარტის თვისათვის ავანსის გაცემის შესახებ.

უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ ამა წლის მარტის 13-ს თარიღითა და 11 №-რით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხ. დასამატებლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. ვიდრე, ამა წლის აპრილის 1-ვის საბიუჯეტო ინდექსის განსაზღვრის საფუძველზე, ცხოვრების გაძვირების გამო საპროცენტო ზედნართი დაწესდებოდეს ამა წლის მარტის 1-სათვის, იმ საწარმოში, დაწესებულებაში და მეურნეობაში, რომელიც, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ ამა წლის მარტის 14-ს თარიღითა და მე-11 №-რით გამოცემული დადგენილების თანახმად, საქონლის მანეთიდან ჩერვონეცის მანეთზეა გადასული მტკიცე პარიტეტისამებრ,—გაიცეს მარტის პირველ ნახევარში, ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების გაძვირების გამო, ამ თვისთვის დაწესებული ზედნართის ანგარიშში ავანსები იმ განაკვეთის 50 პროც. რაოდენობით, რაც მარტის თვისათვის იქნება დაწესებული.

2. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ დეპეშით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი
ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის მარტის 15-ს თარიღის 527 №-ში.

დადგენილება № 88 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წლ. მარტის 14.

62. პასუხისმგებელ პოლიტიკურ, პროფესიონალურ, საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიულ მომუშავეთა გასამრჯელოს შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახ. კომისარიატის მიერ პასუხისმგებელ, პოლიტიკურ, პროფესიონალურ, საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიულ მომუშავეთა გასამრჯელოს შესახებ 1922 წლის აგვისტოს 29 თარიღითა და 1-ლი №-ით, 1923 წ. თებერვლის 16-ს თარიღითა და 34 №-ით და 1923 წ. აპრილის 11-ს თარიღითა და 44 №-ით გამოცემულ დადგენილებათა შესაცვლელად ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. პასუხისმგებელ მომუშავეთა არსებული ტარიფი გადატანილ იქნეს ჩერეონულ გამოანგარიშებაზე, და სატარიფო ქსელში შეფარდება დაწესდეს როგორც 1: 8. 1-ლი კატეგორიის განაკვეთად დაწესდეს 15 მან. და 30 კაპ.

2. სატარიფო ქსელის 1:8 შეფარდება დაწესდეს შემდეგი სქემით:

კატეგორია	შეფარდება ქსელის მიხედვ.	განაკვეთი ჩერ. მან.
10	4,2	64 მ. 26 კ.
11	4,6	70 „ 38 „
12	5,0	76 „ 50 „
13	5,5	84 „ 15 „
14	6,2	94 „ 86 „
15	6,7	102 „ 51 „
16	7,2	110 „ 16 „
17	8	1 2 2 „ 40„

3. იმ პასუხისმგებელ მომუშავეთათვის, რომელთაც თავის თანამდებობის ხასიათის გამო სამსახურის გარეშე უხდებათ სხვადასხვა სამუშაოს ასრულება, რის აღრიცხვაც შეუძლებელია, დაწესდეს დამატებითი გასამრჯელო 50 პროც.-ს რაოდენობით, ხოლო არა ამაზე მეტი, მათ ძირითად ჯამაგირზე, მუშაობის ხასიათის და ნორმალური სამუშაო დროის ზევით ფაქტიურ დატვირთვის მიხედვით და ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1922 წ. აგვისტოს 29-ს თარიღითა და 1 №-ით გამოცემულ დადგენილებაში აღნიშნული სანიმუშო სქემისამებრ.

4. ძირითად ჯამაგირზე დამატებითი გასამრჯელოს მიცემა არ არის სავალდებულო და მიიცემა მხოლოდ ფაქტიური დატვირთვის მიხედვით, რასაც დააწესებენ ორგანიზაციის, დაწესებულების და წარმოების ხელმძღვანელები.

ამ უკანასკნელთ უფლება აქვთ მოუმატონ ან მოუკლონ დამატებითი გასამრჯელო ცალკე მომუშავეთ მათი დატვირთვისა და მუშაობის ხასიათის მიხედვით, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს მომატება-დაკლება მოხდეს მომუშავის ძირითადი განაკვეთის 50 პროცენტის ფარგლებში.

5. ძალაში დარჩეს ყველა დანარჩენი ნორმები, რაც ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნული დადგენილებებით დაწესებულია პასუხისმგებელ მომუშავეთა გასამრჯელოს შესახებ.

6. დადგენილება ესე სავალდებულოა ყველა პოლიტიკური, პროფესიონალური, საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიული პასუხისმგებელი მომუშავისათვის.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის 1924 წლის მარტის 1-დან.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო
კომისარი **იაკუბოვი**.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის
საერთო საორგანიზაციო განყოფილების გამგე **თუმანოვი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. მარტის 16 თარიღის 528 №-ში.

დადგენილება № 14 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

63. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში საბიუჯეტო ინდექსის ღირებულების განსაზღვრის შესახებ.

სამუშაო ხელფასიის ოქროს ვალიუტაზე გადატანის შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ 1924 წ. მარტის 14-ს თარიღით და 11—№-რით გამოცემული დადგენილების დასამატებლად — ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. რადგანაც, საბიუჯეტო გამოკვლევათა მიხედვით, გამოირკვა, რომ საბიუჯეტო ინდექსში მოთავსებულ საქონელთა შორის არსებული შეფარდება შეიცვალა,—დამტკიცებულ იქნეს დროებითი, ვიდრე ადგილობრივი საბიუჯეტო ინდექსი შემუშავდებოდეს, ქვემოაღნიშნული შეცვლილი საქონელთა ინდექსი:

ა. საკვები პროდუქტები:

1. ფქვილი ადგილობრივი (მსხვ. დაფქ.)	40	გირ.
2. ფქვილი ყუბან. დაფქვ.	20	„
3. ლობიო და ფეტვი	7	„
4. კარტოფილი	38	„
5. კომბოსტო	8	„
6. ბრინჯი	3	„
7. ხახვი თავებად	1,7	„
8. ხორცი	7,8	„
9. ერბო	1	„
10. ზეთი მცენარ. (მზეუჭვრიტ)	1,7	„
11. რძე ნაღებ მოუხდელი	5,5	ბოთ.
12. კვერცხი	3	ცალი.
13. თევზი წვრილთვალა ბადით საჭერი	3	გირვ.
14. შაქარი-რაფინადი	2	„
15. მარილი საჭმლისათვის	2	„

ბ. პირველი საჭიროების საგნები:

16. ჩექმები უბრალო	9,07	წყვ.
17. ჩითი	2,2	არშ.
18. ტილო	0,7	„
19. მაუდი სამოქალ. ტანისამოს.	0,16	„
20. კეროსინი	6	გირ.
21. საპონი უბრალო, მაგარი (მარმარ)	1	„
22. თამბაქო მე-2 ხარისხ.	0,18	„
23. ასანთი	3	კოლ.
24. შეშა მაგარი თვისებისა	0,015	კუბ. საჟ.

2. ხელმძღვანელობას ფასების შეკრებისა და სწორი აღნუსხვისათვის უაღრესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. რესპუბლიკანური ეკონომიური საბჭოს დადგენილებით რესპუბლიკანურ საინდექსო კომისიის შედგენილობაში შეიძლება დაინიშნოს რესპუბლიკანური ეკონომიური საბჭოს წარმომადგენელი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3. მეორე მუხ. აღნიშნული კომისიების მიერ საბიუჯეტო ინდექსის ღირებულების განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო ყერძო ბაზრის ფასები, არამედ სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებისა და კოოპერატიული ვაჭრობის ფაქტიური ცალობრივი ფასები; ამასთანავე მხედველობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იქნეს აგრეთვე მიღებული ის შეღავათიც, რასაც კოოპერატივები თავიანთ წევრებს ფასებში უწევენ.

4. მე-2 მუხ. აღნიშნულ კომისიებს დაეკისრება აგრეთვე განსაზღვრონ ხოლმე, ფასების ცვალებადობის საფუძველზე, რაოდენობა ცხოვრების გაძვირების გამო გადაწყვეტილი მიმატებისა იმ ძირითად განაკვეთზე, რაც დაწესებულია კოლექტიურ ხელშეკრულებაში, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მარტის 14 თარიღისა და მე-12 №-რის დადგენილების თანახმად.

5. კომისიის გადაწყვეტილებას საბიუჯეტო ინდექსის ღირებულების განსაზღვრისა და ცხოვრების გაძვირების გამო გადაწყვეტილი მიმატების რაოდენობის შესახებ,—რაც გამოტანილ იქნება ინდექსის ღირებულებისათვის შეკრეფილ ცნობების საფუძველზე, ძალა ექნება, უკეთუ ამ დადგენილებას კომისია ერთხმად მიიღებს და რესპუბლიკანური ეკონომიური საბჭო დაამტკიცებს; წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუთანხმებელი აზრები, სათანადო რესპუბლიკანური ეკონომიური საბჭოს დასკვინითურთ, წარედგინება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილებისათვის.

6. ახლად შემოღებული საბიუჯეტო ინდექსის ღირებულება განისაზღვრება მისი საშუალო ღირებულების გამოანგარიშებით მარტის 1-დან შემდეგი რიცხვებისათვის: 8-ს, 15-ს, 22-ს და შემდეგი თვის 1-ლი რიცხვისათვის და გამოქვეყნებულ უნდა იქნეს მე-3 რიცხვზე არა უგვიანეს.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.

უმაღლესი ეკონომური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.

უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.

უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. მარტის 18-ს თარიღის 529 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. მარტის 17.

64. ადგილობრივი ორგანოების მიერ ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებამდე საშუალებათა დახარჯვის წესის შესახებ.

სამაზრო საფინანსო განყოფილებათა რეორგანიზაციის გამო და ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებამდე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ნებადაერთოს ადგილობრივ ორგანოებს, ვიდრე 1924 წლ. ბიუჯეტები დამტკიცდებოდეს, დახარჯონ ხოლმე თვეში არა უმეტეს სათანადო რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ 1923 წლისათვის დამტკიცებული სანახევარწლო ბიუჯეტის დანიშნულებათა ერთი მეექვსედი ნაწილისა.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის 1924 წლის იანვრის 1-დან და მოქმედება მისი გაგრძელდება 1924 წლის აპრილის 15-მდე. ამ ვადისათვის ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტები დამტკიცებულ უნდა იქნეს სათანადო რესპუბლიკანური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ.

3. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარს ნება ეძლევა გამოსცეს ხოლმე ინსტრუქციები ამა დადგენილების განსავითარებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ალამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. მარტის 20-ს თარიღის 530 №-ში.

დადგენილება № 15 ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის მარტის 20.

65. ამიერკავკასიის სახელმწიფო ფონდების აღნუსხვისა და რეალიზაციის კომისიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დამტკიცებულ იქნეს ქვემოაღნიშნული დებულება ამიერკავკასიის სახელმწიფო ფონდების აღნუსხვისა და რეალიზაციის კომისიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებ. დროებ. აღმასრ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა-ს" 1924 წლის მარტის 22-ს თარიღის 532 №-ში.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა.

66. ამიერკავკასიის სახელმწიფო ფონდების აღნუსხვისა და რეალიზაციის კომისიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების შესახებ.

1. ფედერატიული და რესპუბლიკანური ფონდების სასწრაფო, ყოველმხრივი და გეგმაშეწონილი გამორკვევისა, აღნუსხვისა და რეალიზაციისათვის, აგრეთვე ამ ფონდების სარეალიზაციო ღონისძიებათა შეთანხმებისა და გაერთიანებისათვის მოეწყობა: ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლეს ეკონომიური საბჭოსთან—ამიერკავკასიის კომისია სახელმწიფო ფონდების აღნუსხვისა და რეალიზაციისათვის, ხოლო ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებთან—რესპუბლიკანური საფონდო კომისიები.

2. კავკასიის წითელდროშიანი არმიის საფონდო კომისია და აგრეთვე შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისიის ბიურო ამიერკავკასიის რკინის-გზების ტრანსპორტის სახელმწიფო ფონდების რეალიზაციისათვის სრულიად ემორჩილებიან ამიერკავკასიის საფონდო კომისიას.

3. ამიერკავკასიის საფონდო კომისიის მიზანს შეადგენს: ა., აღნუსხოს ყველა ის სახელმწიფო ქონება, რაც ფაქტიურად ამაერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ყოველი გაერთიანებული სახალხო კომისარიატისა და უწყებისა და სხვა—სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ და ამიერკავკასიის მასშტაბით მომქმედ—ორგანოს ხელშია; ბ., აღნუსხოს ყველა მატერიალური და ფულადი ფონდი, რაც გადაეცა სახელმწიფო ორგანოებს და სახელმწიფო საწარმო მათი სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის დროს; გამოარკვიოს რაც რამ ხელთ არის ამ ფონდებიდან და აგრეთვე განსაზღვროს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წარუდგინოს დასამტკიცებლად რაოდენობა იმ ფონდისა, რაც შეიძლება დატოვებულ იქნეს ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანოს ან სახელმწიფო საწარმოს განკარგულებაში; გ., წარუდგინოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დასამტკიცებლად აღნუსხული ფონდების რეალიზაციის გეგმა და თვით ეს რეალიზაცია.

4. რესპუბლიკანური საფონდო კომისიის მიზანს შეადგენს: ა., აღნუსხოს ყველა ის ქონება, რაც ფაქტიურად ყოველი რესპუბლიკანური სახელმწიფო დაწესებულებისა და უწყების და სხვა—სახელმწიფო ბიუჯეტზე ნყოფ და რესპუბლიკანური მასშტაბით მომქმედ ორგანოს ხელშია; ბ., აღნუსხოს ყველა მატერიალური და ფულადი ფონდი, რაც გადაეცა სახელმწიფო ორგანოებს და სახელმწიფო საწარმოთ მათი სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის დროს; გამოარკვიოს რაც-რამ ხელთ არის ამ ფონდებიდან და აგრეთვე განსაზღვროს და რესპუბლიკანურ ეკონომიურ საბჭოს წარუდგინოს დასამტკიცებლად რაოდენობა იმ ფონდისა, რაც შეიძლება დატოვებულ იქნეს ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანოს ან სახელმწიფო საწარმოს განკარგულებაში; გ., წარუდგინოს რესპუბლიკანურ ეკონომიურ საბჭოს დასამტკიცებლად აღნუსხული ფონდების რეალიზაციის გეგმა და შეასრულოს თვით ეს რეალიზაცია.

5. ამიერკავკასიის საფონდო კომისია შესდგება თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და ორი წევრისაგან, რომელთაც დანიშნავს უმაღლესი ეკონომიური საბჭო და დაამტკიცებს ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო; ხოლო რესპუბლიკანური საფონდო კომისია შესდგება თავმჯდომარისა და ორი წევრისაგან, რომლითაც დანიშნავს რესპუბლიკანური სახალხო კომისართა საბჭო სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოს წარდგენით.

6. რესპუბლიკანური საფონდო კომისიის დადგენილებანი სახელმწიფო ფონდების აღნუსხვისა, განაწილებისა და რეალიზაციის შესახებ, რესპუბლიკანური ეკონომიური საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, წარედგინება დასამტკიცებლად ამიერკავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ამიერკავკასიის, საფონდო კომისიის მეშვეობით.

7. რესპუბლიკანური კომისიის მიერ აღნუსხული რესპუბლიკანური სახელმწიფო ფონდები დარჩება რესპუბლიკანური ეკონომიური საბჭოს განკარგულებაში და გამოიყენება მარტოოდენ რესპუბლიკის სასარგებლოდ.

8. ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიებს უფლება ეძლევათ: ა., მოსთხოვონ ყველა, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ, ისე სამეურნეო ანგარიშზე გადასულ სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს-წარუდგინონ ცნობები და მასალები, რაც შეეხება სახელმწიფო ფონდების აღნუსხვასა და რეალიზაციას; ბ., თვით ან მათ მიერ უფლებამოსილ პირთა მეშვეობით ფაქტიურად შეამოწმონ და გასინჯონ საწყობები და ქონება, რაც ყველა ზემოაღნიშნულ სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს ხელშია; გ., დაადგან აკრძალვა უწყებისა თუ დაწესებულების დადგენილებას ფონდების ასე თუ ისე განაწილებისა და გამოყენების შესახებ, უკეთუ კომისია სცნობს, რომ ფონდების განაწილება და გამოყენება მიზან-შეწონილი არ არის; დ., დასდვან ხელშეკრულებანი სახელმწიფო ფონდების რეალიზაციის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც რესპუბლიკანური წარმოებითი ორგანო და სახელმწიფო-სავაჭრო დაწესებულება უარს იტყვის ამა რეალიზაციაზე; ე., კონტროლი გაუწიონ სარეალიზაციოდ გამორკვეულ რესურსების შესახებ დადებულ ხელშეკრულებათა და ვალდებულებათა აღსრულებას, ამ რეალიზაციას თვით უწყება მოახდენს.

9. კომისიის მიერ აღნიშნული ყველა საფონდო ქონება, სადაც უნდა იყოს იგი და ვიზედაც უნდა ირიცხებოდეს, დატოვებულ უნდა იქნეს და ინახებოდეს სათანადო დაწესებულებისა და უწყების საწყობში; თანაც ამ დაწესებულებას და უწყებას უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ამ ქონების დაცვისა და უკლებლობისათვის; ამ ქონების გადატანა შეიძლება მხოლოდ რეალიზაციის წესით ან ამიერკავკასიის და რესპუბლიკანური საფონდო კომისიის (კუთვნილებისამებრ) ნებადართვით.

10. საფონდო კომისიის ყველა მოთხოვნა სახელმწიფოების აღნუსხვისა, რეალიზაციისა და განაწილების შესახებ აუცილებელად აღსრულებულ უნდა იქნეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს მიერ კომისიისაგან დადებულ ვადაზე.

11. კომისიებს უფლება აქვთ სამართალში მისცენ ყველა, ვინც-კი მათ კანონიერ მოთხოვნას არ შეასრულებს.

12. ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიები დროგამოშვებით წარუდგენენ ხოლმე—თანადობისამემრ—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს და რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს მოხსენებას თავიანთ მოქმედების შესახებ.

13. ამიერკავასიის საფონდო კომისია თავისი საყოველდღეო მუშაობისათვის გამოიყენებს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის აპარატს, ხოლო რესპუბლიკანური საფონდო კომისია—რესპუბლიკანური ეკონომიური საბჭოს ან ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის აპარატს.

ამიერკავკასიის საფონდო კომისია გამოსცემს ინსტრუქციებს რესპუბლიკანური საფონდო კომისიების მოქმედების წესისა და ფორმის შესახებ და ეს ინსტრუქციები მათთვის სავალდებულოა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდ. დრ. აღმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნეულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. მარტის 22-ს თარიღის 532 №-ში.

დადგენილება № 89 ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის მარტის 21.

67. სავაჭრო ადგილის საკიდელი წარწერის უქონლობისათვის დადებული ჯარიმის ჩერვონეცზე გამოანგარიშების შესახებ.

1923 წლის აპრილის 6-ს თარიღით სახელმწიფო სარეწავი გადასახადის შესახებ გამოცემული დებულების მე-15 მუხ. თანახმად და ამ გადასახადის გადახდევინებისათვის გამოცემული დროებითი წესების შესაცვლელად ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

ზემოაღნიშნული დროებითი წესების 103 მუხლში ნაჩვენები ჯარიმა სავაჭრო ადგილის საკიდელი წარწერის უქონლობისათვის 5.000.000 მან. რაოდენობისა—ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით—აღრიცხულ იქნეს ჩერვონეცის ანგარიშით და ათ საჩერვონეცო მან. არ აღემატებოდეს.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო
კომისარი **ჰუსეინოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის მარტის 23-ს თარიღის 533 №-ში.

დადგენილება № 16 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. მარტის 29.

68. ერთმილიარდიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნ-ს სახმარებლად გამოშვების შესახებ.

რადგანაც სავაჭრო-სამრეწველო აღებმიცემობისათვის საჭიროა უფრო დიდი რაოდენობის ფულის ნიშნები—გამოშვებულ იქნეს სახმარებლად ამიერკავკასიის ფულის ნიშანი ერთი მილიარდი ღირებულებისა ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მიერ—ერთიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნის სახმარებლად გამოშვების შესახებ 1923 წ. იანვრის 10 გამოცემული დეკრეტი განსაზღვრულ საფუძველზე.

ამიერკავკასიის ფულის ნიშნების აღნიშნული კუპიურა გამოშვებულ იქნეს 1924 წლის ახალი სახისა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახელით—ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის ხელმოწერით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის მარტის 30-ს თარიღის 504 №-ში.

მთავარლიტი № 1773. ს. ს. მ. უ ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა. შეკ. № 2963 ტირაჟი 500.